ხუთშაბათი, 1918 წ. მარიამობისთვის 15 № 161

წელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი 1918 წ. მარიამობისთვის 15 № 161

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

ხელნაწერთა მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უსახელოდ გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ რჩება. დაუბეჭდავი ხელნაწერთა მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—8 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადი მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ერთი თვით— 25 მ. თვეში (ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე— 50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 8 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

„საქართველოს" კონტორისაგან

ქაღალდის გაძვირებამ და ასოთ-ამწყობთა ახალ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ „საქართველოს" გამომცემლობა აიძულა კიდევ მოუმატოს გაზეთს ფასი.

10 მარიამობისთვიდან გაზეთი საქართველო ეღირება:

სამი თვით 25 მანეთი

ერთი თვით 10 მანეთი

ცალკე ნომერი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ.

რკინის გზის სადგურებზე 60 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქ. პეტ.—60 კაპ. მეოთხე გვერდზე—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა—3 მანეთი.

ღრმად დამწუხრებულნი დედა დარეჯან რევაზის ასული, მეუღლე ტატიანე გრიგოლის ასული, ძმები დავით და რევაზ და და კნ. ვაჩნაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა

არჩილ იოსების ძე თ-დი ვაჩნაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1742—1

ლატარია

აგარაკ ქვიშხეთში საუკეთესო ქარმიდამოს ჩამონაჭერი 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, აღნიშნული ცალკე პლანზე და დეკრეტის მხრივ ყოვლად უდავო. მომგებს შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.

ლატარიის ბილეთები ათას ორმოცდა ათი (1050) ცალია. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კერძო პირებს აქვს დარიგებული გასასყიდათ. ყველა გასაყიდულის წიგნაკების ფული უნდა ჩააბარონ ლატარიის ფულის ხაზინადარს გიორგი ლეონიძის ძე მაჭავარიანს (ნოტარიუსი, ერევნის მოედანი სასტუმრო „კავკაზის" ეზოში). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთების მყიდველნი. იმ დღეს ლატარიას მოაწყობენ ამისათვის საგანგებოთ მოწვეულნი პირნი: ბ.ბ. დავით გურამიშვილი, პართენ გოთუა და კოტე მაყაშვილი.

საქართველოს ეროვნულ- დემოკრატიულ პარტიის

ქ. თბილისის კომიტეტი.

ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც ჰსურს რისამე დაკვეთა სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მიბრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და განუცხადონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა დროებითი საბჭო

ამით აცხადებს, რომ კვირას 18 აგვისტოს დილის 11 საათზე, საბჭოს ბინაზე (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია ქართველ ვაჭარ-მრეწველთა

კრება

2—2

თბილისი. 15 მარიამობა

13 აგვისტოს მთავრ. სხდომაზე ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ ჯარის ორგანიზაციისა. დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა—ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი აქტია—ამ კანონის ცხოვრებაში გატარება დაამტკიცებს, რომ საქართველოს რესპუბლიკა გამოვიდა ეფემერულ ყოფნიდან და მიიღო ნამდვილი სახელმწიფოს სახე. განა საჭიროა გამეორება იმის, რომ რეგულიარული ჯარის არ მქონე არ არის სახელმწიფო? ამის გამოცდილება ჩვენ მივიღეთ იმ მოკლე დროში, რაც საქართველოს რესპუბლიკა არსებობს, როცა ცეცხლით სირცხვილი ოსმალეთისგან დამარცხების და როცა გაფართოებული ანარქია და შინაური მტრები ყოველ დღე უმზადებენ გაქრობას რესპუბლიკას და ეხლაც დაუფარავად აწყობენ ახალ აჯანყებებს საქართველოს სხვა და სხვა პროვინციებში. თქმა არ უნდა მოლაშქრების გამოსვლას და ხალხის აყოლებას გარდა პროვოკაციისა და სხვა მიზეზებისა, ისიც უწყობდა ხელს, რომ ხალხს ომით დაღლილს, ომში არ უნდოდა დაბრუნება სწორედ ომში ნამყოფი ძველი ჯარის კაცები შეთანხმდნენ—მაგრამ როგორც არ უნდა იყოს საქმე—ხალხი უნდა მიხვდეს რომ მის არსებობისათვის აუცილებელია ჯარის შექმნა—და ყოველივე ზომები უნდა იქმნეს მიღებული, რომ ეხლა მაინც ეროვნულ და სამუდამოდ მოწესრიგდეს ჯარის შექმნის საკითხი.

კანონ-პროექტი ჯარის ორგანიზაციისა ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული შეეფერება დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჯარში ნამდვილი სამსახურის ვადა ორი წელიწადი, პირველად იწვევენ 20 წლიანებს, შეღავათი ეძლევათ მხოლოდ სნეულებს და ავადმყოფებს და საშუალო სასწავლებელში მოსწავლეებს 22 წლამდის, რესპუბლიკაში მცხოვრებ მაჰმადიან ქვეშევრდომებს არ იწვევენ ჯარში.

როგორც კანონ-პროექტის დამატებით განმარტებული წერილიდან ჩანს, რომელიც 1895—1899 წლებში დაბადებულთა ნამდვილ სამსახურში დატოვებას და გაწვევას შეეხება საქართველოში 1918 წელს 25 ათასი ახალი ჯარის კაცი გამოიყვანება. შემდეგ, ბევრ მიზეზების გამო და უფრო კი ტერიტორიის დაპატარავების მიზეზით ყოველ წლიური კონტიგენტი უნდა ვიგულოთ არა უმეტეს 10—12 ათასი კაცისა. ამიტომ საჭირო გახდა კონტიგენტის შესავსებად გაწვეულ იქმნას ჯარში სამი წლის კონტიგენტი ე. ი. 1896—1899 წლებში დაბადებულნი ანარქიით და ცხოვრების მოუწესრიგებლობით განადგურებული ქართველი ხალხი ალბად სათანადო პასუხისმგებლობით და მოქალაქის გაგებით შეხვდება ჯარის შედგენას და მთავრობაც მხოლოდ ამ აქტის ცხოვრებაში გატარებით დაამტკიცებს თავის და ეროვნული საქართველოს სიცოცხლისათვის ნების ყოფას...

საბჭოს წევრთა იმმუნიტეტი

ყოველ სახელმწიფოში საკანონმდებლო დაწესებულების წევრის უფლებრივი და მოქალაქობრივი მდგომარეობა განისაზღვრება იურიდიულ მეცნიერებაში შემოღებულ მცნებით, რომელსაც ეწოდება „იმმუნიტეტი", ხელშეუხებლობა მისი პიროვნებისა. შეუძლებელია, რომ ხალხის წარმომადგენელი სახელმწიფოს უზენაეს დაწესებულებაში არ სარგებლობდეს ერთგვარი უპირატესობით სხვა მოქალაქეთა შორის. ვისაც ესმის პარლამენტარულ მოღვაწეობის მნიშვნელობა და დანიშნულება, დაეთანხმება, რომ დეპუტატი, განსაკუთრებულ შემთხვევის გარდა, უნდა აღჭურვილი იყოს იმგვარ უფლებით, რაიც არა ვრცელდება ყველა დანარჩენ მოქალაქეებზე. ამ საკითხის ცნობილ მკვლევარის—პროფესორ ლ. შალლანდის—აზრით, დეპუტატის იმმუნიტეტი არის საფუძველი მყარი და დამოუკიდებელი საპარლამენტო მუშაობისა.

თავის თავად ცხადია, რომ ხელშეუხებლობით უნდა სარგებლობდნენ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს—ეროვნულ საბჭოს წევრნიც. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში ნათქვამია, რომ ჩვენს სამშობლოში დროებით ძალაში რჩება რუსეთის კანონები, ვიდრე ჩვენივე საკუთარი კანონმდებლობითი წესით არ შემუშავდება ჩვენს სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ ცხოვრებასთან შეფარდებული პოლიტიკურ-იურიდიული ნორმები. მაშასადამე, ძალაში არის „სახელმწიფო სათათბიროს დაწესების" მე-15 მუხლი, რომელიც ამბობს: „თუ არა სასამართლოს განკარგულებით, სხვაფრივ სახელმწიფო სათათბიროს წევრს ვერც წართმევა და ვერც შეეზღუდება თავისუფლება"... იქვე, მე-16 მუხლში ვკითხულობთ: „სახელმწიფო სათათბიროს წევრის თავისუფლების წართმევისათვის სისხლის [illegible] აუცილებლად გამოთხოვნილ უნდა იქმნას სათათბიროსაგან წინასწარი ნებართვა... ყველას ახსოვს, ალბად, როგორ აღელვებდა საზოგადოებას რუსეთის პოლიციისა და ჟანდარმერიის აგენტების ზოგიერთი მოქმედება, რომლითაც საგრძნობლად ირღვეოდა ზემო-მოყვანილ მუხლებში გამოთქმული კატეგორიული დებულება. მაგრამ, რასაც ადგილი ჰქონდა ისეთ საეჭვო კონსტიტუციურ ქვეყანაში, როგორიც იყო რუსეთის იმპერია, ის არავითარ შემთხვევაში მოსათმენი არ არის იმ სახელმწიფოში, რომელსაც დიდი რევოლიუციური და დემოკრატიული პრეტენზიები აქვს.

ამ დღეებში მეტის-მეტად აღმაშფოთებელ პირობებში საქართველოს დედა-ქალაქში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის ნაწილმა შეიპყრო ეროვნულ საბჭოს წევრი ალექსანდრე ახმეტელაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატს თან ახლდა საბჭოს პრეზიდიუმისაგან მიცემული სათანადო მოწმობა, რაზმის ხელმძღვანელმა უბრძანა ჯარის-კაცებს, წაეყვანათ ბ-ნი ახმეტელაშვილი დასამწყვდევ სახლში „საქმის გამოსაძიებლად". აღშფოთებული და შეურაცხყოფილი ხალხის წარმომადგენელი უმტკიცებდა წესიერების „დამცველებს", რომ დეპუტატის ამგვარად დატუსაღება უკანონოა, მაგრამ განსაკუთრებული და, ალბად, განუსაზღვრელი უფლებით აღჭურვილი რაზმის აგენტებისათვის ეს საბუთი მიუღებელი გამოდგა. დატყვევებული დეპუტატი დაჟინებით მოითხოვდა, საშუალება მიეცათ მისთვის ტელეფონით გამოლაპარაკებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორს, მაგრამ მას არც ამისი ნება მისცეს და ამიტომ დეპუტატი რამოდენიმე საათის განმავლობაში შეპყრობილი იყო.

ჩვენ არ მოვითხოვთ, რასაკვირველია, რომ ვიღაც კონკრეტი რაზმის უფროსი, ან მისი ხელქვეითნი განმსჭვალულნი იყვნენ საკანონმდებლო დაწესებულების წევრებისადმი საჭირო პატივისცემით და მოკრძალებით, მაგრამ იმას კი მოვითხოვთ, რომ რაზმის „შეფს" ეცოდინება რაზმის ყველა მოსამსახურისათვის მათი უფლება და, უმთავრესად, მოვალეობა შესაფერი „ინსტრუქციების" დარიგებით.

გარდა იმისა, რომ მოყვანილი სამაგალითო მოვლენა ცხადყოფს ნათლად, თუ რა განუსაზღვრელ ელემენტებს მოუყრიათ თავი იმ რაზმში, რომელსაც დავალებული აქვს სახელმწიფოში ადმინისტრატიულ ყოველგვარ უწესოების, [illegible] სპეკულიაციისა და კონტრ-რევოლიუციონერობისა, დამაფიქრებელია უმაღლესი მთავრობის განკარგულება რაზმელების საზიზღარ საქციელის გამო. ჩვენ დაიმედებულნი ვიყავით, რომ ეროვნულ საბჭოს ღირსების [illegible] დამნაშავენი, უეჭველად, დაუყონებლივ სამართალში იქნებოდნენ მიცემულნი, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი დაკმაყოფილებულა იმით, რომ უკანონობის ჩამდენთათვის „მკაცრი შენიშვნა" შეუფარდებია. ცნობილია, რომ ჩვენს სახელმწიფოს ჰღრღნის მოქალაქეთა შეუგნებლობა და უდისციპლინობა და მისგან გამოწვეული რესპუბლიკის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში გამეფებული ანარქია. ყველა დარგში, უწყებათა ყოველს ნაწილში წააწყდებით შემაძრწუნებელ უწესოებას და უპასუხისმგებლო ჯგუფების თვითნებობას. თბილისის სადგურის მთავარ კომიტეტში მომხდარი „ინციდენტი", რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა, მიუხედავად გზათა მინისტრის მიერ გამოთქმულ გადაწყვეტილებისა, საკმარისი ნიმუშია სახელმწიფოში შექმნილ აუტანელ მდგომარეობისა. მხოლოდ სიმტკიცე და გარკვეული ზომები საქართველოს უმაღლეს მმართველობისა იხსნის რესპუბლიკას დანგრევისაგან. ქვემდებარე სახელმწიფოებრივ ორგანოებმა უნდა იგრძნონ, რომ უზენაესი მმართველობა ვერ შეურიგდება სახელმწიფოში პლიურალისტურ სისტემას, მრავალ ბრძანებლობას, რომელიც მაჩვენებელია სახელმწიფოს დაქვეითებისა და გახრწნისა.

ალექსანდრე ახმეტელაშვილის ინციდენტს საბჭო მოეპყრა დიდის ყუ-

რადლებით მოეპყრას; მთავრობამ უნდა მოგვცეს გარკვეული და ცხადი, დასაკმაყოფილებელი განმარტება ყოველივე უსიამოვნების ასაცდენად. თუმცა განმარტებულ ფრაქციას ძალიან არ მოსწონს უმცირესობის ინტერპელიაციები, რომელშიაც ეს ფრაქცია ჰხედავს მხოლოდ ნაყოფიერ მუშაობის შემაფერხებელ მოქმედებას, მაგრამ შეკითხვები არ მოისპობა მანამდის, ვიდრე საქართველოს მიწა-წყალზე არ ამოძირკვება უწესობა და მთავრობის აგენტების თვით-ნებობა და ძალადობა.

მოქალაქობრივ ყველა სხვა უფლებათა შორის დეპუტატის იმუნიტეტიც დაბეჯითებით მოითხოვს დაცვას. კანონმდებლის პიროვნების ხელშეუხებლობა არის პარლამენტარულ სახელმწიფოს კონსტიტუციის ძირითადი მუხლი და ჩვენ ახალი რესპუბლიკა გვერდს აუხვევს მას.

რ. ინგილო.

გაზეთ „ერთობა“-ს

ამიერ-კავკასიის მუშათა ორგანიზაციების ორგანომ მოითხოვა სარევოლუციო ტრიბუნალების შესახებ ჩემი ბრალდების დასაბუთება. მართალია მე ვალდებული არა ვარ პასუხი გავცე ამ გაზეთს, რადგან ტრიბუნალების საქმეს თვით იუსტიციის სამინისტრო იძიებს, მაგრამ მე მაინც მინდა მოვეხადო ჟურნალისტის მოვალეობა.

და ისმინოს „ერთობა“-მ!

1) გორის სარევოლუციო ტრიბუნალმა ვეზირიშვილის მკვლელს შემდეგი განაჩენი გამოუტანა: „за причастность къ убійству и грабежу 3 тысячи рублей штрафу“.

2) უკანასკნელად დატუსაღებული ბორჯომის სასტუმროს მფლობელის გამგე ქვეკვეძე არ განთავისუფლდეს, ვიდრე მან სამი ათასი მანეთი ჯარიმა არ გადიხადა.

3) ერთმა ბრალდებულმა ტრიბუნალმა შემდეგი განაჩენი გამოუტანა: „тюремное заключеніе до окончанія революціи“. და როდესაც ამ ბრალდებულის დამცველმა ვექილმა ამირადოვმა წერილობით მოითხოვა განმარტება, თუ როდის-და გათავდება ეს რევოლუცია, ტრიბუნალმა დამცველს ასეთი კონტრრევოლუციონერობისათვის სიკვდილით დასჯა დაუპირა. ვექილი ამირადოვი გორიდან თბილისში გამოიქცა და ეხლა აქ ეძიებს სამართალს.

შემდეგ, განა საბუთი არ არის იუსტიციის მინისტრის განცხადება, რომ მან ერთ ტუსაღისაგან წერილი მიიღო, რომელშიაც ის შემდეგს სწერდა: „ხომ „დამხვრიტეთ“ და ეხლა მაინც გამანთავისუფლეთო“.

განა იუსტიციის მინისტრმა არ განაცხადა, რომ ის ებრძვის რითაც შეუძლია ამ ტრიბუნალების ბოროტებას.

„ერთობა“ კი მხოლოდ მე მწამებს, რომ ტრიბუნალების სახელის გატეხას ვცდილობ.

თუ რამ ვინმე გატეხილი აქვთ მათ ეს სახელი, ჰკითხეთ თქვენს ამხანაგებს ეროვნულ საბჭოს იურიდიულ კომისიის წევრებს და ისინი მოგახსენებენ.

ეს წევრები ალბად იმასაც იტყვიან, თუ რა „ინსტრუქცია“ გაუგზავნა იუსტიციის მინისტრმა თქვენი ამხანაგის გორის ტრიბუნალის თავმჯდომარის, ექიმ კობერიძის „მსაჯულებს“.

მეტის თქმა გაზეთის ფურცლებზედ შეუძლებელია.

„ერთობამ“—ეს ჩვენზედ კარგად იცის, მაგრამ მის მოქმედებაზე ჩვენ შევნიშნავთ შემდეგს: ის სისტემატიურად იცავს ყოველივე ბოროტმოქმედებას, თუ ამ ბოროტმოქმედებაში პარტიული ამხანაგები არიან გარეულნი და ამ გარემოებას იუსტიციის მინისტრის სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ორი სიტყვა პირადად ჩემზე: „ერთობა“ ჩემ „ვიღაც“-ობას ეხება, მაგრამ მოწინააღმდეგის ესეთი საშუალებით დამცირება ლანძღვებურად და მეტად იაფად უნდა ჩაითვალოს თვით „ერთობისათვის“, მაგრამ ამ გაზეთის ანონიმ მწერლებს მეტს ორიგინალობას ვერ მოვთხოვთ.

ლ. ჯაფარიძე.

მთავრობის წრეებში

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით ფოსტა-ტელეგრაფის შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთათვის 60,000 მან. გადაიდო.

—

ბათუმის და ყარსის დაწესებულებანი 1-ლ ივლისიდან გაუქმებულად არის აღიარებული.

—

სასამართლო პალატის შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეთა ჯამაგირების გადიდების პროექტი გადაეცა სახელმწიფო კონტროლიორს თავის აზრის გამოსათქმელად.

—

განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა, რომ საშუალო სატეხნიკო სასწავლებლისთვის გადაიდოს 51,804 მ.ნ. და 93 კაპ. სასწავლებლის 1-ლ ივნისიდან 1-ლ იანვრამდე შესანახად.

—

ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორად დაინიშნა ს. დ. პანტურიშვილი.

—

თბილისის სამოსამართლო პალატის შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეთა დასაკმაყოფილებლად იუსტიციის მინისტრს საპირო თანხა მიეცა.

—

იუსტიციის მინისტრი მოხსენებით თბილისის უფროს ნატარიუსის თანაშემწე სერგეევი გადაყენებულ უნდა იქნეს და სამართალში მიცემული.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **სამხედრო მინისტრს ბადიაურიდან ჯავშნიან მატარებლის უფროსი გოგუაძე დეპეშით ატყობინებს:** რაზმს, რომელიც გაგზავნილი იყო გადაწვენდა იორის ნაპირები თათრებისაგან, სროლა აუტეხეს. საღამოს 5 ს. 30 წუთს მოგვეშველა ჯავშნიანი მატარებელი და ზარბაზნებიდან 9 ყუმბარა გაისროლა. მოწინააღმდეგე გადავიდნენ იორის მეორე ნაპირას. ჩვენი მხრივ ერთი მძიმედ დაჭრილა და ერთი მსუბუქად. ხალხი მოითხოვს თათრების იარაღის აყრას და მზად არის მათ საწინააღმდეგოდ გამოვიდეს. თუ ნებას მოგვცემთ, შეტევაზე გადავალ.

◆ **საქართველოს ნავთი.** გამოირკვა, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ნავთიან ადგილების დამუშავება მთავრობას მისცემს დღეში 1000 ფუთ ნავთს. ზოგს რაიონში და განსაკუთრებით თელავში, უკვე დაიწყეს ნავთის დამუშავება. დამუშავებულ ნავთით პირველ რიგში დააკმაყოფილებენ რკინის გზებს, შემდეგ თბილისის ქალაქის გამგეობას.

◆ **ნავთის რაოდენობა და ტრამვაი.** როგორც ვიცით, მთავრობას საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში მოეპოვება ხელუხლებელი ნავთი 240 ათასი ფუთი თბილისის, ფოთის და სამტრედიის საქალაქო წყალსადენებისთვის. ამ დღეებში ამ წყალსადენთა ნავთის მიცემა შეუწყდება თბილისის ტრამვაის, რის გამოც შესაძლებელია უკანასკნელი შეჩერდეს თუ ტრამვაის ელექტრონის სადგურს ქვანახშირით ამოძრავება დროზედ ვერ მოეწყო.

◆ თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ნება დართულია ფოსტისა და ტელეგრაფის კორესპონდენცია მიღებულ იქმნას როგორც ქართულს ისე რუსულს ენაზე გამგზავნელთა სურვილის მიხედვით.

◆ **მცხეთის მატარებლის მოძრაობის აღდგენა.** სათიბო მასალის თათბირმა შესაძლებლად სცნო თანახმად გზათა მიმოსვლის მინისტრის შუამდგომლობისა აღდგენილ იქნეს მცხეთის მატარებლის მოძრაობა, ხოლო იმ პირობით, რომ ამ მატარებლის ორთქლმავლები ქვანახშირით ხურდებოდეს.

◆ **შავი ქვის მრეწველთა სწრაფი ყრილობა.** 15 აგვისტოს ქუთაისში შესდგება ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სწრაფი ყრილობა მრეწველთა საბჭოს და კონტორის ჭიათურაში გადატანის შესახებ.

◆ **სახაზინო რკინის გზების,** სამტრედიის, ფოთის, ნატანების და ყვირილის ნაწილებში მოძრაობა უკვე ქვანახშირით სწარმოებს, ხოლო 15 აგვისტოდან ყველა სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ქვანახშირით იქნება მოძრაობა.

◆ პარასკევს, 16 აგვისტოს (ახ. სტ.) შუადღის სრულ 12 საათზე ქ. ქუთაისში წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში მოხდება კრება საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა 1 განყოფილების გარეშე დარჩენილ ყველა მოსამსახურეებისა; კრებას მოხსენდება წარმომადგენელთა მოქმედების ანგარიში. მოსამსახურეთა შტატის შემცირებაზე. საჭიროა ამ კრებას დაესწრონ რკინის გზის ყველა მოსამსახურენი.

◆ **ლატარია უნივერსიტეტის სასარგებლოდ.** მთავრობის ნებართვით ამ დღეებში გაიმართება დიდი ლატარია ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ. ბილეთის ფასი 25 მანეთია. გამოშვებულია სულ 5 მილიონ მანეთის ბილეთები, რომლის რიცხვი 200,000 ცალია, მათ შორის 2393 ცალი მომგებიანია—ერთი—100,000 მანეთიანი, ერთი 50,000 მანეთიანი, ერთი—25,000 მანეთიანი, 2—10 ათას მანეთიანი. ლატარია დაინიშნულია 25 ქრისტეშობისათვის 1918 წლის.

◆ **თერგელ ხალხთა კავშირის** მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, რომ თერგის მთავრობას გადაეცეს ყველა ის საუნჯეები ქაღალდები, რომლებიც ეხებიან დაღესტანსა და სხვა მთიელ ხალხს და რომლებიც ამ ჟამად ინახება „სანამესტნიკოს“ ყოფილ კანცელარიაში, სამხედრო ისტორიულ მუზეუმში და შტაბში.

◆ **ყალბი ფული.** როგორც ს. საგარეჯოდან იტყობინებიან, სპეკულიანტ-შინ ქისტები ეგებენ ყალბ ფულს აძლევენ პურში. კოდში 60 მ. ყალბ ფულს აძლევენ. ყალბი ფული სამ მანეთიანებია. ასეთი შანტაჟის წყალობით პურის ფასი დღითი დღე ზღაპრულად მატულობს.

◆ **მეცხოვენე ჯარის უფროსმა** დაატუსაღა „წითელი ჯვარის“ უფროსი ქ. სმირნოვი—გერმანიის საელჩოს შეურაცხყოფისათვის.

◆ **ქურდობა.** 12 აგვისტოს ღამე გ. ზურაბიშვილის ბინიდან, ვოკზლის ქუჩაზე № 7, ბოროტმოქმედებმა 15,000 მანეთის ნივთები წაიღეს.

◆ **საქონლის მიმწოდებელ კომიტეტის გაქურდვა.** საქონლის მიმწოდებელ კომიტეტის საწყობიდან, მადათოვის ქუჩაზე № 5, 10,000 მანეთის სხვა და სხვა საქონელი მოიპარეს. ქურდობა ჩაუდენიათ მოსამსახურე სტ. ართემიევს სხვებთან ერთად. ქურდები ყველა დააპატიმრეს.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** მთავრობას წარუდგინა სამინისტროს მოსამსახურეთა ჯამაგირების ხარჯთ-აღრიცხვა.

პარტიული ცხოვრება

◆ პარასკევს, 16 მარიამობისთვეს, საღამოს 8 საათზე (ახალ დროით) სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო კრება. გრიგოლ ვეშაპელი წაიკითხავს მოხსენებას „სამამულიშვილო საქართველო“.

ისტორიული ხატი

მეტად საინტერესო და ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი მოვლენას ჰქონდა ადგილი ამ დღეებში საინტენდანტოში. საინტენდანტოს მოხელეებს არხივიდან ზოგიერთი მასალის ამოღება სურდათ. ისინი ძალიან გააოცა იმ გარემოებამ, რომ ერთ ყუთში, სადაც დოკუმენტები უნდა ყოფილიყო, დაშლილი რემინგტონის ნაწილები აღმოჩნდნენ. ცხადია, რომელიმე დათხოვნილ მოხელეს სურდა მისი წაღება, მაგრამ ვეღარ მოახერხა.

განცვიფრებამ უფრო დიდ საზღვარს მიაღწია, როცა იმავე მოხელეებმა, იმავ დოკუმენტების ძებნაში, მეორე ყუთში ახალი ნივთი აღმოაჩინეს. ყუთში იდო ძველებური ვერცხლის ხატი, ქართული წარწერებით. წაკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხატი წამოღებულია ტრაპიზონიდან მეფე სოლომონ მეორის საფლავიდან. ამ რიგად ეს ისტორიული ხატიც კინაღამ მსხვერპლი არ გახდა ვინმე დათხოვნილ მოხელისა.

საინტერესოა რას უპირებს საინტენდანტოს გამგეობა ამ ისტორიულ ხატს?

როგორ მოეწყვენ ლტოლვილები ჩრდილო-კავკასიაში

ამიერ-კავკასიიდან ლტოლვილები უმთავრესად სტავროპოლის გუბერნიაში და ყუბანისკენ გაემართნენ. ერთი ნაწილი ამათგანი სტ. ზმეიკასა, ყუძსანლოჩინსკს და გასუდარსტვენოში გაჩერდნენ. ამ სტანციებში მათ მისცეს მიწის ნადელები იმ ფონდიდან, რომელიც დაარსდა შემამულეთა ქონების კონფისკაციის შემდეგ. თითო ორთავე სქესის მუშაზე მისცეს 3 და სამი მეოთხედი მიწა.

სტ. ვორონცოვო-ალექსანდროვსკში დასახლდა ყარსის და ალექსანდროპოლის ათი-ათასი ლტოლვილი.

მცირე ნაწილი ლტოლვილებისა სვიატო-კრესტის მაზრისკენ წავიდნენ.

პიატიგორსკში ლტოლვილები დასახლდნენ თავისუფალ სააგარაკო ადგილებში. ისინი ცდილობენ მიწის მიღებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათთვის თავისუფალი მიწები არ აღმოჩნდა.

ყუბანის ოლქში, სადაც უფრო მეტია თავისუფალი მიწა, ლტოლვილებისათვის მიწის ნორმა სტავროპოლის გუბერნიის ნორმას აღემატება. როგორც გადმოგვცემენ თერგის მთავრობა შეუდგა ჩრდილოეთ-კავკასიაში ლტოლვილების დამხმარე განსაკუთრებითი ორგანიზაციის მოწყობას.

უცხოეთის ამბები

კონტრიბუციის გადახდა. უკრაინის მთავრობის წარმომადგენელმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ ისინი მზად არიან იკისრონ ერთი მესამედი იმ ვალის გადახდა, რომელიც რუსეთმა უნდა გადაუხადოს გერმანიას თანახმად ბრესტის ხელშეკრულებისა.

ბერლინის ცნობით ინგლისის მთავარი შტაბი ოფიციალურად იტყობინება, რომ 2-დან 15 ივლისამდე ინგლისელებმა დაკარგეს 150.000 კაცი.

დაცარიელებული პარიზი. 21 ივნისის ცნობით უკანასკნელ თვე ნახევრის განმავლობაში პარიზი მიატოვა 240.000 მცხოვრებმა.

დიდი მთავრის გაქცევა. 9 ივლისს კიევის რადიო-სადგურს მოსკოვიდან ატყობინებენ: ხმები დადის იმ შენობას, სადაც მოთავსებული იყვნენ დარაჯების მხედველობის ქვეშ დიდი მთავრები იგორ კონსტანტინესძე და სერგი მიხეილისძე. მიუხედავად იმისა, რომ ყარაულებმა წინააღმდეგობა გაუწიეს თავდასხმულებს, ბრბომ მაინც მოახერხა დიდი მთავრების გაქცევა. არის მსხვერპლი ორივე მხრით. ძებნას შეუდგნენ.

ლონდონი. ბრიტანიის მუშათა პარტიის კონფერენციაზე სომხის ერის სახელით წარმოდგენილ იქმნა პეტიცია, რომლითაც ამ დაჩაგრული ერის წარმომადგენელნი ეხვეწებიან სოციალისტურ დემოკრატიას იხსნან სომხის ერი ახალი უბედურებისაგან.

პეტიციის ავტორებს იმედი აქვთ რომ კონფერენცია დაეხმარება „პატარა ხალხს“, რომელსაც მთელ საუკუნეებში ნაწარმოები კულტურულ მუშაობით, თავისუფლებისათვის ბრძოლით და აგრეთვე შეისხლხორცებულ დემოკრატიზმით და დასავლეთის ცივილიზაციის დიდი სიყვარულის გამო დამსახურებული აქვს უფლება თავისუფალ თვითგამორკვევაზე.

ომი

დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა.

ბერლინი. 13 აგვისტო. კრონპრინცის რუპრეხტის ლაშქარი. იპრის სამხრეთ დასავლეთით დილით ადრიან საარტილერიო ბრძოლა იყო. მოწინააღმდეგის იერიშები ჩვენ მიერ შეჩერებულ იქნა. სკარპის და ანკრის შუა ლამასის ორხის ორივე მხარეზე მოწინავე რაზმების ბრძოლა. ანკრომის და ავრის შუა სომის სამხრეთით მოწინააღმდეგის იერიში მოვიგერიეთ. ავრის და უაზის შუა მთელ დღეს ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა მოწინააღმდეგეებთან, რომელსაც მაშველად ახალი დივიზიები მოეშველა. მოწინააღმდეგის იერიშები უშედეგოთ დამთავრდა. ტილოლუას და კანის შუა კონტრიერიშით მტერი უკუ ვაქციეთ. გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ფიმის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ადგილობრივი იერიშები მარჯვედ ვაწარმოეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ. მოწინააღმდეგის 29 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

ბალკანეთის ასპარეზი.

სტამბოლი. 13 აგვისტო. ასპარეზის ბევრ ნაწილებში მოწინააღმდეგის მზვერავმა რაზმებმა იერიშები მოიტანეს. იერიშები მოვიგერიეთ. დროგამოშვებით გაძლიერებული საჰაერო და საარტილერიო მოქმედება სწარმოებს. დანარჩენ ასპარეზებზე აღსანიშნავი არა მომხდარა რა.

გენ. მაზნიაშვილთან

გენ. მაზნიაშვილმა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელს შემდეგი ამბები გადასცა:

„ჯარის სულიერი განწყობილება კარგია. სისწორით და შეგნებით სრულდება უფროსების განკარგულება და ბრძანებანი. თანდათან მკვიდრდება დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სამხედრო დისციპლინა და წესრიგი. ჩვენი რეგულიარული ჯარის მოძრაობის უმთავრესი მიზანი ანარქიასთან ბრძოლაა. ჩემი ჯარი შავი ზღვის სანაპიროებზე მოქმედებს თუაპსე-არმავირის ხაზით; საურზაყანოს მხარეზე კი განსაკუთრებითი სახალხო გვარდიის რაზმები მოქმედებენ.

სოხუმში მოწყობილია დეპო, სადაც იწრთვნებიან ჯარში ახლად გაწვეულები, რომლებიც ძალიან ხალისით მეცადინეობენ და მომზადების შემდეგ საჭიროებისამებრ სხვა და სხვა ადგილებისკენ იგზავნებიან.

როდესაც სოხუმი ბოლშევიკებისაგან გაიწმინდა, შედარებითი წესრიგი დამყარდა. გუდაუთიდან მოვიდა ცნობა, რომ იქ ბრძოლის წაგებით გაბრაზებულმა ბოლშევიკებმა 11 კაცი მხეცურად და წამებით მოჰკლეს. ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნით და დახმარებით ჩვენი ჯარები გუდაუთისკენ საშველად წავიდა, სადაც გუმისტის ხიდამდის გავწმინდეთ გზა და რადგან ბოლშევიკები არ ისვენებდენ იძულებული გავხდით წინსვლა გაგვეხანგრძლივებინა და ისევ მცხოვრებთა დახმარებით ერთი თვის განმავლობაში ადლერის იქით მზიმტამდი ჩავედით და იქ გავმაგრდით.

მაშინ ბოლშევიკებმა სოჭის რაიონში დაიწყეს მოქმედება და მცხოვრებთა რბევა. მეგრელებისა და ადგილობრივ რუს მცხოვრებთა თხოვნით მივეშველეთ სოჭას და ბოლშევიკებს უკან დავახევინეთ, მაგრამ რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ ბოლშევიკები კვლავ არ მოისვენებდენ, სტრატეგიულის მოსაზრებით, გაწმენდილ ადგილებს რომ ხელმეორედ არ შემოსეოდენ და იქაურობა არ აეოხრებინათ რაზმის ნაწილი დავტოვეთ სოჭში და თუაპსემდინ გავრეკეთ მათი ბრბოები. თვით ქალაქში ჯარით არ შევსულვართ და ქალაქ გარეთ დავბანაკდით. განსაკუთრებით რუს მცხოვრებთა დასამშვიდებლათ პროკლამაციები გამოვუშვით, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯარი არავითარ სხვა მიზანს არ ემსახურება, გარდა მცხოვრებთა დარბევისაგან დაცვისა და წესრიგის აღდგენისა. ჩვენ ვიცავთ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივ საზღვრებს. ჩვენი ჯარების მიერ განწმენდილ მთელი ამ მხრის კუთხეებს მცხოვრებნი და საზოგადოებანი მადლობით იხსენიებენ ჩვენს ჯარს და დიდის აღტაცებით ხვდებიან და ყოველნაირად ხელს უწყობენ.

ადგილობრივ თვითმმართველობებისა და ადმინისტრატიულ განმგებლობაში არ ჩვერეულვართ და ვაცნობეთ ყველას, რომ ჩვენ დავრჩებით მანამდე, სანამ არ იქნება აღდგენილი სრული მშვიდობიანი ცხოვრება და დემოკრატიული წესწყობილება, რომელიც ბოლშევიკურ ბრბოების შემოსვლამდე იყო.

თუამსვლეთი გათავდა პირველი ხანა ჩვენი ჯარების მოქმედებისა. ამასობაში გლუხოვის რაიონში ფსხუს წყალზე გამოჩნდნენ ყაზახთა ნაწილები 800 კაცამდე თითო რაზმში. წინდაწინ ჩვენთან დელეგატები გამოგზავნეს თხოვნით, რომ ნება დაგვერთო, გაევლოთ ჩვენს ტერიტორიაზე თუამსის მაიკოპისა და ლაბინის სტანიცებში, სადაც ბოლშევიკებმა ხოცვა-ჟლეტა და რბევა დაიწყეს, რომ მიეშველოთ და რაც ბოლშევიკებს გადურჩათ, ის მაინც შეენარჩუნოთ ჩვენს მხარესო. შევეკითხე ჩვენს მთავრობას და პასუხის შემდეგ ნება დავრთე ყაზახებს, რომელნიც თითქმის მთელ დივიზიამდე შეგროვდა, გაევლოთ ჩვენს მიწა-წყალზე. მათ დივიზიაში ჰყავთ, როგორც ქვეითი, აგრეთვე ცხენოსანი და საარტილერიო რაზმები. ამჟამად ჩვენი და იმათი რაზმები ბელორეჩინსკაიასთან იმყოფებიან, რომ მაიკოპისაკენ გარშემოუარონ თავის სტანიცებს და გარეკონ ბოლშევიკები. ჩვენ ჯერ ხანად წინ არ ვიწევთ, თუ შევამჩნიეთ, რომ ჩვენს ბუნებრივ საზღვრებს საფრთხე მოუახლოვდა ბოლშევიკების ბრბოთა შემოსევით, მაშინ ზემოდან სტრატეგიულის და თავდაცვის მოსაზრებით წავიწევთ წინ, რომ ხელახლად არ ამოლერიონ ახლად დამყარებული სიმშვიდე და გავმაგრდებით მანამდე, სანამ ბოლშევიკური მოძრაობის ტალღა სრულიად არ მოიშორდება ჩვენს მხარეს და მერე კი ჩვენ ბუნებრივ საზღვრებისაკენ დავიწევთ და გავმაგრდებით, რომელსაც არავის და არაფრისათვის არ გადმოვლახვინებთ. ასე დამთავრა გმირმა „პატარამ", როგორც მას ეძახიან ჯარში და ხალხში, გენერალმა მაზნიაშვილმა თავის ჯარის მოქმედების ამბავი. ვუსურვებთ მხნეობას და ენერგიულ მოქმედებას ჩვენი ახლად აღდგენილ, ჯერ ისევ ნორჩ რესპუბლიკანურ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ხულიგანი თუ პროვოკატორი ოფიცრები

(ბაჯამიროვ, მეტეიკოვ, აზაროვ)

31 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, თბილისიდან ბორჯომისკენ გავემგზავრე. რადგან მეორე კლასის დახურულ ვაგონში ცხელოდა, მესამე კლასის ახდილ ვაგონში გადავედი.

ვაგონი ხალხით იყო გაჭედილი.

ავერ შტაბს-კაპიტან ბაჯამიროვს და კორნეტ მეტეიკოვს თავის ადგილიდან წამოუდგენია 12—13 წლის რუსის გოგო და მის ადგილზე თვითონ დამსხდარან. რადგანაც ამ რუსის ქალიშვილს თავისი ნათესავი მოხუცი ქალი ჰკითხავს თუ რათა დგას ზეზე, იგი უპასუხებს: „Эти молодые люди вытолкнули меня" და უთითებს ოფიცრებზე. ამ საქციელზე კორნეტი მეტეიკოვი ძალიან გაცხარდა და იწყო ყვირილი და გინება, მე რა შენი ყმაწვილი კაცი ვარ შე ასეთო და ისეთო, ვერა მხედავ ვინცა ვარო? ბავშვი შეშინდა და გაჩუმებული იდგა.

— რას უყვირით, რისა ლანძღავთ, რა იცის ბავშმა რომ თქვენ კორნეტი ბრძანდებით ან თქვენი ამხანაგი შტაბს-კაპიტანი მეთქი?

— ყოველ შემთხვევაში მაგან უნდა იცოდეს რომ ჩვენ ბატონი ოფიცრები ვართ, მეუბნება ერთი მათგანი.

— თქვენ რა იცით რომ მაგას ყმაწვილ კაცების დაძახება უფრო ზრდილობიანი არა ჰგონია ვიდრე ბატონ ოფიცრებისა?

ყოველ შემთხვევაში ფრთხილად უნდა იყვეთ ამისთანა შემთხვევაში. ისედაც ლაპარაკობენ რუსები ვითომ ქართველები ჩვენ გვეჯავრებიან, აქედან გვდევნიან მათ და სხვა და სხვა უზრდელ მამლაყინწა ოფიცრებს და ყური მივუგდე „ჩემს გვერდზე მჯდომ ორი „მოქალაქის" რომლებიც ამბობდნენ:

— რა უნდათ რომ გურულები ჩვენ საქართველოში მიდიან, თუ ისინი კარგი ხალხი იყვნენ თავის ქვეყანაში დადგებოდნენ. შესულან წითელ გვარდიაში და თავად-აზნაურობის მთავრობას ემსახურებიან, საწყალ ოსებსა სდევნიან, იმ დღეს კინაღამ ერთი სისხლი მოხდა გორში, რამდენიმე ვაჟკაცი დაეცა ერთ ოსს, იარაღი უნდა აეყარათ და ვერ აყარეს ისეთი ყოჩაღი გამოდგა ოსი ან რატომ უნდა აეყარათ?

მე ჩავერიე ლაპარაკში და დავიწყე: —აბა რეებსა ლაპარაკობთ, როგორ თუ რა უნდათ გურულებს საქართველოში? გურულები განა ქართველები არ არიან? თქვენ ალბათ გინდოდათ გეთქვათ თუ რა უნდათ გურულებს ქართლში და აი მე გეტყვით თუ რა უნდათ: გურულები და საერთოდ დასავლეთ საქართველოში მასა, ხალხი უფრო კეთილი გონების პატრონია, ცოცხალი, მოძრავი და უფრო შეგნებულია ვიდრე ქართლ-კახეთში. მე თვითონ ქართველი ვარ მაგრამ სიმართლე უნდა სთქვას კაცმა. ჰო და აი ამ შეგნებულმა გურულებმა როგორც შეიტყეს რომ ქართლში, მოუმზადებელ და ნაკლებათ შეგნებულ გლეხობას აბრიყვებდნენ რუსის, სომხის და ოსის ვითომც სოციალისტები, რომლებსაც თავიანთი პირადი ქვენა განზრახვები ჰქონდათ ან კაცი-ჭამია შოვინისტური აზრები ალაპარაკებდათ, ჩამოვიდნენ გურულები და დიდი სამსახური გაუწიეს 117 წლის მონობიდან განთავისუფლებულ დამოუკიდებელ ჩვენს სამშობლოს, რომელიც შენდება დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფოს სახით.

— ამხანაგო, თქვენ რა პარტიას ეკუთვნით, მიძახის ერთი ნაბდის ქუდიანი ნასალდათარი.

— სულ ერთი არ არის რომელ პარტიასაც ვეკუთვნი, შენ ჩემი აზრები გაიგე და თვითონ დაასკვენი თუ რომელ პარტიასაც ვეკუთვნი.

— ჩვენ სუყველანი ძმები ვართ: რუსი, სომეხი, ოსი, ქართველი. ტყუილად ხომ არ ამბობს მუშათა პარტია რომ პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო. ჩვენი სოც.-დემოკრატიული პარტია დაარსდა 1903 წელს და მას აქეთ მუშაობს ამ ლოზუნგით და თქვენ კი დღეს აქ პროვოკაციას ეწევით, გინდათ რუსები, სომხები და ოსები აქედან გარეკოთ, მეუბნება ვინმე შემახინელი თუ მის თანამემამულეს ფორმაში გამოწყობილი.

— ნება მიბოძეთ ჯერ შესწორება შევიტანო თქვენს ნათქვამში. თქვენ კარგად არა გცოდნიათ თუ როდის დაარსდა თქვენი პარტია და მე გეტყვით რომ თქვენი პარტია 1903 წელს კი არ დაარსდა 1892 წელს როდესაც „კვალი" გამოდიოდა. მაშინ მესამე დასის სახელით გამოდიოდნენ ლეგალური სოც.-დემოკრატები, 1903 წელს კი პარიზში საქართველო გამოდიოდა არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით, რომლითაც სოც.-ფედერალისტთა პარტია იკიდებდა ფეხს.

ეს ფაქტიური შენიშვნა. ახლა გიპასუხებთ იმაზე თუ რამდენად ძმები არიან რუსები, სომხები და ოსები ქართველებისა. დღიდან საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისა, რუსის ბიუროკრატია მოხელეები („ჩინოვნიკები") თუ „სოციალისტური" „ზნამია ტრუდა"-ს თანამშრომლები, სომხის პლუტოკრატია და ბურჟუაზია თუ ოსების ბოლშევიკური ინტელიგენცია შეუდგნენ საქართველოს რესპუბლიკის ძირის გამოთხრას. მათ ააშფოთეს ბნელი ძალები და მაიმხრეს არამც თუ თავდადებითი მასა, არამედ ქართველი შეუგნებელი გლეხობაც, რომლებსაც ჰპირდებოდნენ ოქროს მთებს, მთელს მიწას უსასყიდლოდ. (რა ენაღვლებოდათ, თავიანთ რასა ჰკარგავდნენ!?) და მოუხმობდნენ დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისკენ.

— არა, თქვენ ჯერ ეს მითხარით, ამხანაგო, თუ რომელ პარტიას ეკუთვნით, მეკითხება ხელ ახლა ისევ ის ნაბდის ქუდიანი.

— გეთქვათ მე უპარტიო ვარ და არც ერთ პარტიას ვეკუთვნი.

— მაშ შენ არა გაქვს უფლება რომელიმე პარტიაზე ილაპარაკო და დაჩუმდი, მიუყვირის, ალბათ „ბოლშევიკი" ნაბდის ქუდიანი (მიკვირს, რატომ რუსული კოკიროზიანი ქუდი არ ეხურა).

— ახირებული აზრია თქვენგან მხეთ, მეტი რომ არა ვსთქვათ, თქვენი ეგ სიტყვები და რახან ძალიან გაინტერესებთ თუ რომელ პარტიას ვეკუთვნი, აი გეტყვით: მე ვეკუთვნი იმ პარტიას, რომელსაც სწამს მთლიანი, დამოუკიდებელი საქართველო; მე ვეკუთვნი იმ პარტიას, რომელიც თავის პროგრამას არ აშენებს და არ ამყარებს მარტო მუშებზე, პროლეტარებზე, რომლებიც სხვათა შორის ჩვენში ბევრი არ მოიძებნება.

მე არ ვეკუთვნი იმ პარტიას, რომელიც თავის იმედებს მარტო მიწის მუშებზე ამყარებს.

მე ვეკუთვნი იმ პარტიას, რომელსაც მუშათა კლასის გამოთიშვა კი არ უნდა, არამედ სწამს მთლიანი საქართველო, შემომქმედი ძალა სამშობლოსი, ეძებს იგი ქალაქის მუშა, თუ ზოგიერთებისგან ათვალწუნებული ბურჟუა, ყველა საყვარელი და პატივსაცემია ჩვენთვის.

— თქვენ გძაგთ ყველა სხვა ერი, თქვენ სულ სამშობლოზე ლაპარაკობთ, ეგ პროვოკაციაა, იძახის ხმა მაღლა მემანქანის თანაშემწის ფორმიანი რუსულ-ქართულ ენაზე და თან გარშემო მსმენელებს გადახედავს თავ-მოწონებით. (!)

— გააჩუმეთ, კაცო, ვიღაც ოხერია ეგ პროვოკატორი; ეუბნება ჩემზე ნაბდის ქუდა „ბოლშევიკი".

— ყმაწვილო კაცო, თქვენ ცოტა ზრდილობიანათ ილაპარაკეთ, ვუთხარი ხმა ამაღლებით.

— რას ლაპარაკობთ, ერ გვესმის შენი ლაპარაკი, ყველა პარტიებს ეხები და კი ვერ გვეუბნებით, თუ რომელ პარტიას ეკუთვნით.

— ვერც გაიგებ თუ არ გინდა გაგება. აბა კედელს რომ ცერცვი შეაყაროთ განა დაადგება? ვუპასუხებ გაჯავრებული თამამ „ბოლშევიკს".

— ვაი, გაჩუმდი რაღა მეთქი, აბა ერთი ეკითხეთ ამოდენა ხალხს, თუ ვისმეს ჭკუაში მოსვლოდეს შენი ლაპარაკი, მეუბნება გორელი სომეხი.

— დიახ, თქვენ პროვოკატორი ბრძანდებით, თქვენ ერთ ნაციას მეორე ნაციაზე ამხედრებთ, როგორ შეგიძლიათ თქვენ საჯაროთ ამოდენა ხალხში ეგრე გამოსულიყავით ილაპარაკოთ... მიუყვირიან და ერთი მეორეს აღარ აცლიან შტაბ. კაპიტანი ბაჯამიროვი და მეტეიკოვი.

თქვენ, ბატონო შტაბს კაპიტანო, და კორნეტო, თავს ანგარიშს აძლევთ თუ არა როდესაც მაგისთანა სიტყვებს ისვრით?! ვეკითხები გაკვირვებული.

— გაჩუმდით. ხმა. კრინტი აღარ დასძრათ, უმატებენ თან და თან ხმას რაინდები.

— რას ყვირით რომ ყვირით კაპიტანო, ან თქვენ პოროჩიკო? ან რა უფლებით, რა საბუთით მეძახით პროვოკატორს? ნება მიბოძეთ თქვენივე სიტყვა უკან დაგიბრუნოთ მეთქი.

— ემ საათში ვაგონიდან გადმოგაგდებთ, იძახის მესამე ოფიცერი, რომელსაც პაგონები კაპიტნისა ჰქონდა და პოდპოროჩიკი აზაროვი კი ყოფილიყო. თუმცა ვაგონიდან რამდენიმე პირი ჩემს მხარეს იყო, მაგრამ როგორ გაებედნენ ხმის ამოღებას, როდესაც „ბოლშევიკ" ნაბდი-ქუდას და მემანქანეს თუ მის თანაშემწეს სამი შეიარაღებული ოფიცერიც მიემხრო.

— გაბედეთ და ხელი მახლეთ, მე თქვენ გიჩვენებთ მაშინ სეირსა, ვეუბნები შეურაცხყოფილი მათი თავხედი ლაპარაკით.

— რატომ გაქვთ თქვენ ეგ ექიმის ნიშანი, განა ექიმი ხართ? აშოლეთ აბა თქვენი პიროვნების მოწმობა, გვაჩვენეთ, ყვირიან რაინდები.

— მე კი ექიმი გახლავართ, მაგრამ ახლა კი თქვენზე ცუდი ხვაზრება რომ ოფიცრები იყვეთ. მე ჩემს პიროვნების მოწმობას გიჩვენებთ და თქვენგანაც ამას მოვითხოვ მეთქი.

გავცვალეთ ერთმანეთის მოწმობები.

— სადაც, რომელმა ოხერმა უნივერსიტეტმა გაგათავებინათ, ან რა ბატარეა ყოფილა ის მეექვსე ბატარეა, სადაც თქვენ მსახურობთ. ემ საათში დეპეშას მივცემთ ბატარეის უფროსს რომ თქვენ იქიდან ხელად დაგითხოვონ.

გადავხედე რა ძალზე უხეშ და ხულიგან გაკონტროლებულ ოფიცრებს,

ჩვენის მეურნეობის ერთი უმთავრეს საჭიროებათაგანი

საქონლის მოვლა მოშენება—ისეთი დარგია სასოფლო მეურნეობისა, რომელზედაც დამოკიდებულია სხვა დანარჩენ სამეურნეო დარგთა კეთილდღეობა და წინმსვლელობა. იგი მკვიდრი საძირკველი და დედაბოძია მთელის მეურნეობისა, რომლის აყვავებისა და ღირსება-ნაკლოვანებაზედაც დამოკიდებულია მეურნეობის აყვავება, განვითარება: რამდენადაც მესაქონლეობა განვითარებული და ძლიერი, იმდენადვე თითქმის აყვავებული და ძლიერია თვით მეურნეობაც, მასზედვე დამოკიდებული ღირსება და რაოდენობაც სამეურნეო ნაწარმოებისა. ცნობილია რომ უვარგისი და წვრილის ხარკამეჩით და ცხენებით იმდენს ვერ მოიხნავ-მოითესავ, როგორც კარგის ღირსების საქონლით. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობას მრეწველობისათვის, თუ ცხვარი, თხა, ღორი, ხარი უვარგისია, მათი მატყლიც, ბეწვიც, ჯაგარიც და ტყავიც ნაკლების ღირსებისა არის და ქარხანაც ვერ შექმნის და გააკეთებს მსუბუქს, ფაქიზს, გამძლესა და [illegible] ჩასაცმელს. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობას ადამიანის კვება-რჩენაში, უვარგისი საქონელი რასაკვირველია უფრო ნაკლებ მასაზრდოებელს და მდარე ღირსების ხორცს, ყველსა და კარაქს იძლევა, ვიდრე კარგის გაკეთილშობილებულის ჯიშის საქონლისა.

მაგრამ რა საჭიროა ყველა ამ საანბანო ჭეშმარიტების ჩამოთვლა და ჩამონუსხვა, ყველასთვის ვისაც კი ცოტაოდნავ მაინც დაუკვირდებია ცხოვრების ავკარგიანობაზედ, მისთვის ცხადზე ნათელი არის, რომ საქონლის, მოვლა-მოშენების გაუკეთესება ნიშნავს მეურნეობის და თითქმის ნახევარ მრეწველობის განვითარებას და რამდენადაც პირველი განვითარებულია, იმდენად მეურნეობის და მრეწველობის განვითარება უზრუნველყოფილია.

სწორედ ამის გამოა, რომ ისეთს განვითარებულს ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად გერმანეთი, ინგლისი და საფრანგეთი, საქონლის მოვლა-მოშენება მთელ მეცნიერებად არის გადაქცეული, რომელსაც ზოოტექნიკის ანუ საქონლის მოვლა-მოშენების მეცნიერება ჰქვიან. ამ განათლებულმა ქვეყნებმა დიდი ენერგია და ფული შეალიეს, რომ ხელოვნურად შეჯვარებით და შერჩევით გაეუმჯობესებინათ ყოველივე ჯიში საქონლისა. ათეული და ოცეული წლების განმავლობაში მთელი რიგი მეცნიერებისა და ცხოველთმოყვარე მეურნეებისა დაუღალავად მუშაობდა საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისათვის. მათმა დიდი ხნის მეცადინეობა-შრომამ ამაოთ არ ჩაიარა და შექმნეს ისეთი საკვირველებანი, როგორც არის ინგლისური რაში, რომელსაც უკან ჩამოურჩნენ ძველადგანვე ნაქები არაბული მერნები; სიმენტალური, შვეიცარული და სხვა საუკეთესო ჯიშის ძროხები, რომლებიც დღე-ღამეში რამდენიმე ვედრო რძეს იწველიან; ცხვარი მერინოსი, რომელიც აბრეშუმის მინაგვარ მატყლს იძლევა იორკშირის ღორები, რომელთა ხორცსა და ლორის გემოვნებას ვერ შეედრება და სხვა და სხვა. აი ეს ხელოვნურად შექმნილი საუკეთესო ჯიშის საქონელი შეადგენს დღევანდელის მეურნეობისას და მის საუკეთესო ღირსებას საკვირველებაში მოჰყავს მთელი ქვეყნიერება.

აი ასეთი მუშაობა იყო უცხოეთში საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რას აკეთებდა ამავე დროის დიდებული რუსეთი რომლის ფრთათაგანაც ჩვენ ვიყავით შეფარებული და რამდენის მზრუნველობას უწევდა იგი ჩვენში საუკეთესო ჯიშის საქონლის გავრცელება-მოშენებას. რუსეთი, რომელიც ევროპის ძლიერ კულტურულ ქვეყნებს ჩამოცილდა ერთი ხნობით ამყვა ევროპას და თვით შექმნა გაუმჯობესებული მესაქონლეობაში. ასეთი არიან არლოვის მერნები, რომლებიც ინგლისური მერნების მიმსგავსებით წარმოიდგინა და კიდევ ხოლმოგორის ძროხები, რომლებიც მეორე გონის მიმგზავსებანი არიან შვეიცარიის ძროხებისა, ამით თითქმის გათავდა რუსეთში მესაქონლეობის გაუმჯობესების საქმე. ეს ორიოდე ჯიში, როგორც იყო რის ვაივაგლახობით შექმნეს რუსებმა, მაგრამ უკეთესია ვსთქვათ შექმნეს კი არა უბრალოთ წაბაძეს ევროპას. იმათგან ისესხეს მიმზიდველი ფორმები და მერე თავისებურად გადაახალისეს და თავისი სახელი და მარკა დაასვეს. მაგრამ საქმე მარტო შექმნა არ იყო საუკეთესო ჯიშებისა, საქმე მისი გავრცელება იყო და მოშენება. ამ მხრივ კი რუსეთმა ჩვენ ქართველებს ნამდვილი გერობა გაგვიწია. თუ რუსეთში ასე თუ ისე ზოგიერთ ადგილას მაინც მოაწყეს ცენტრალური დასამკვიდრებელი პუნქტები ან სადგურები და მათის წყალობით სცდილობდნენ ადგილობრივ საქონლის გაუმჯობესებას, ჩვენში არავითარი ამის მზგავსი არა ხდებოდა და არც თუ როდისმე ჰფიქრობდა მთავრობა რამე ამგვარის მოწყობაზე ჩვენში. კერძო ინიციატივაც კიდევ ჩვენში ამ მეურნეობის დარგში არავის უცდია და მოუწყობია რამე, მარტო გამოირჩევის მიზნით მაინც არაფერს ვიტყვით ს. ბელევის სამეურნეო სკოლაზედ, რომელიც ერთის კაცის, სახელდობრ კ. ამირეჯიბის მზრუნველობით იყო შექმნილი და არსებობს თის უცხოელთა კოლონიებზედ, რადგანაც მათი მნიშვნელობა მეტად მცირე და უმნიშვნელო იყო, რადგანაც არც ერთგან და არც მეორეგან მთავრობა არა ცდილობდა კერძო ინიციატორებისათვის ზურგის გამაგრებაზე. ერთი სიტყვით, თუ მცირეოდენი რამ კეთდებოდა რამე ჩვენში, ეს ისეთი უმნიშვნელო იყო, რომ მასზედ ლაპარაკიც კი ზედმეტად მიმაჩნია.

ეხლა დღევანდელ დროში, როცა ჩვენ ჩვენი თავის ბატონ-პატრონი გავხდით, საჭიროა ამ დარგს მეურნეობისას უპირველესი ყურადღება მივაქციოთ და მით ჩვენი მეურნეობა წინ წავწიოთ, თუ გვინდა რომ ჩვენი ქვეყანა ავაყვავოთ და მე კიდევ ვერ წარმომიდგენია ისეთი ქართველი, რომელსაც არ უნდოდეს თავისი ქვეყნის აყვავება და მისი მეურნეობის განვითარება. ჩვენ ეხლა ყოველივე ძალა, ყოველივე ენერგია და ცდა ამ სრულიად ნორჩ და ჯერეთ სრულიად არ ჩასახულ დარგს მეურნეობისას მივაქციოთ.

მაგრამ რა არის ამისთვის საჭირო თუ უმთავრესად მაინც, არის თუ არა ამისთვის ჩვენში საჭირო პირობები და გვყავს თუ არა ჩვენ ისეთი მომზადებული პირნი, რომელთაც შეეძლებათ მისი მოწყობა და წარძღოლა.

ამაზედ თამამად შემიძლიან გიპასუხოთ, რომ ჩვენ გვყავს ყოველივე ის და მოგვეპოვებიან ისეთი მომზადებული პირნი, რომელთაც შეეძლებათ მისი მოწყობა-წარმართვა. თავდაპირველად საჭიროა არის ხელმიწვდენი მეცნიერულად მოწყობა საქმისა და მთელის ზოოტექნიკების შტატის მოწვევა. საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად პირველ ხანებში სრულიად საკმარისია მოეწყოს „დასამაკებელის სადგურების" მოწყობა. ამ სადგურებში იქნებიან საუკეთესო ჯიშის ბუღლები, მერნები, ტახები და სხვა და სხვა. ყველა მცხოვრებლებს უფლება ექნება თავისი საქონელი დაამაკებინოს სრულიად უსასყიდლოთ. ამიტომ საჭიროა წინდაწინვე გავრცელება ხალხში ცნობებისა, დრო გამოშვებით მოვლა სოფლებისა და საუბრის ანუ ლექციების გამართვა ხალხთან. ამავე სადგურებში უნდა იყვეს რამდენიმე ცალი საუკეთესოსავე ჯიშის მდედრობითი სქესის საქონლისა, რათა აქედან გამოსული ახალი ბუღლები, მერნები და სხვანი დაიგზავნოს სხვა ახლად გახსნილ სადგურებში ან და სრულიად უფასოთ ან ცოტა ხოლმე სოფლის საზოგადოებებს. ამ გვარად შესაძლებელი იქნება მოკლე ხანში გაუმჯობესდეს ადგილობრივი საქონელი და შემდეგში ამ გაუმჯობესებულ საქონლიდამ გამოვიდეთ წმინდა ჯიშის კულტურულ საქონლამდე და მივაღწიოთ იქამდის რომ უბრალო ჩვენის საქონლის მაგიერად ჩავაყენოთ საუკეთესო ჯიშის ევროპიული საქონელი.

ზ. ედილი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც „მენზელეეს“, „პოდლეეს“ და სხვა ამისთანა მარეგელიტებს იძახოდნენ, განვუცხადეთ: თქვენ ხომ ები ყოფილხართ და არ მსურს თქვენთან ლაპარაკი.

— მივიდეთ ერთი გორში, მილიციონერებს კომისართან როგორ წაგვათრევინოთ თქვენი თავი!

— ძალიან კარგი. მე მივდივარ კომისართან იმ პირობით, რომ თქვენ სამივენი ჩემთან წამოხვალთ მეთქი.

— ჩვენ ეტლით წამოვალთ და თქვენ ფეხით წაგიყვანენო.

— მივიდეთ იქ და ვნახოთ, ვინ ეტლით წავა და ვინ ფეხით, კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის მეთქი.

ბევრი შეურაცყოფა მომაყენეს. ყველას გაზეთის ფურცლებზე გადმოტანა მკითხველის ყურის შეურაცყოფა იქნება.

გრაკალსა და გორ შუა ნახევარ სადგურზე ჩამოხტნენ ავტიკოვი და ხაჯამიროვი. როდესაც ვკითხე თუ რატომ გორში არ მიმყავხართ კომისარიატში, იმათ მიპასუხეს რომ ჩვენ ხვალ ჩამოვალთო. ვაგონიდან რამდენიმე ნასალდათევმა და გორის ურიამ მილიციონერმა ორჯონიკიძე მეუთხრეს: თქვენც უსათუოდ უნდა წამობრძანდეთ; სხვა მგზავრებმაც უთხრეს: თუ თქვენ მართალი კაცები ხართ, მიჰყევით გორის კომისარიატში ამ ბიჭებსო, მაგრამ იმათ მოუსვეს მგზავრი ახალქალაქის სოფლისკენ. დარჩა ერთი „რაინდი“, რომელსაც, როგორც ზემოთაც ვსთქვი, კაპიტანს პაგონები ეკერა და პოდპორუჩიკად კი ყოფილა მერინის (სადგურილი) რაზმისა, რომელიც გორში სდგას.

გორში რომ მივედით ეს კაპიტანიც გამიძვრა ხელიდან. ალბათ იფიქრა რომ მან თავისი მისია შეასრულა, პროვოკაცია გასწია. ზრზი მაღალ ქარით. ნაციონალისტების წინამძღვარს ამხელა და ხალხს „ჩააგონა“, რომ ჩვენ პროვოკატორი და მტრები ვართ ხალხისა; ჩვენ კი არა მარტო, თვით წითელი გვარდიაც, რომელიც „ბურჟუაზიულ“ მთავრობას იცავს, და ეს სოხის ფარჯპუტა ოფიცრები კი ჭკვიანურესი სოციალისტები და ქართველი ხალხის მოყვრები არიან“.

იმედია, ვისაც ეს შეეხება, მიიღებს ზომებს რომ შესაფერის ადგილას დაისაჯონ ზემოხსენებული 3 ხულიგან-პროვოკატორი ოფიცერი.

გ. ოზნელი

კორესპოდენცია

დუშეთის მაზრიდან

არსად მთელს საქართველოში ბოლშევიკურ ძარცვა-გლეჯაზე წათამამებული არ იყო ხალხი ისე, როგორც დუშეთის მაზრაში; ყველასაგან შენიშნულია, რომ ბოლშევიკური არეულობა და ძარცვა-გლეჯა იქ უფრო იკიდებს ფეხს, სადაც უსწავლელი ბნელი ხალხი ბინადრობს, და ეს სწორედ დუშეთის მაზრაც ასეთია, რადგან მკითხავ-ექიმბაშებს უფრო გასავალი აქვს ვიდრე ნამდვილ ექიმებს.

დღეს დუშეთის მაზრა თითქმის დამშეულად უნდა ჩაითვალოს თავის ზარბაზნების წყალობით. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საშინაო მთავრობამ ყურადღება მიაქციოს მაზრის ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას, რომ შემდეგში მან ცოტა ტყუილ-წამალი დასჭიროს მათ დასაწყნარებლად—მოსარჩულებლად. ძველი მთავრობისაგან საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ვინც ათასჯერ შეეწუხებინა სკოლის გახსნისთვის და თანაც აღეთქვა საშინაო შენობის აშენება, მთავრობა მარტო მით სწყალობდა. დუშეთის მაზრაში კი ამისთანა ხალხი დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, ვერ ჰნახავთ. თვით ქალ. დუშეთი მარტო ორ-კლასიანი სკოლით კმაყოფილდებოდა და თუ ცენტრში ასე იყო, რა უნდა ყოფილიყო მივარდნილ სოფლებში? მაგრამ ყველა ეს იყო ძველი და მძარცველი რუსის მთავრობისა, რომელიც დღემდის მემკვიდრეობას უწევდა ქართველ ერს. დღეს გარემოება შეიცვალა. მთავრობა ჩვენი გვყავს. ცენტრებში მოკალათებულ ხტისოვ-ალიევების ნაცვლად ვლიავა-ინაშვილებიგანაგებენ ქართველი ხალხის ბედს და ამიტომ დღეს მით მეტი მოეთხოვებათ, იზრუნონ ხალხის კეთილ-დღეობისათვის. ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციის დაწყებიდან მაზრაში ბევრი სკოლის კარები გამოიკეტა, რადგან მასწავლებლები აქეთ-იქით დაიფანტნენ. და აი პირველ ყოვლისა მთავრობამ უნდა იზრუნოს კარგი მასწავლებლების დანიშვნისათვის—რადგან მოახლოვებულია სწავლის დაწყების დრო. მერე ყველა მოურავისათვის ღია უნდა იყოს დუშეთის ახალ გახსნილი პირველ-დაწყ. უმ. სასწავლებელი, შეიძლება ასეთი რჩევა ძალიან ეწინააღმდეგება ბოლოს „სკოლის წესდებულებებს“ მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ადგილობრივი ხალხი, რადგან აქ ბევრ გლეხს როგორც სწავლაში არ დაინტერესებულს, თუ ერთხელ უარი უთხარი—თავად კი არა, სხვებსაც აღარ მოუკვარებს ახლოს. ერთის სიტყვით, ყველაზედ მეტი მთავრობამ ამ მაზრაში სწავლა-განათლების კარგ ნიადაგზე დაყენებას უნდა მიაქციოს მიზანი.

26 ივლისს (ძვ. სტილ.) მთავრობის ჯარმა და სახალხო გვარდიამ დაიჭირა ჩანა ციდ ძაღი ფართალეულობა და ქვა-მარილი ამილ-გარის თავ მოუვაჯე სომხებთან, რომლებიც ეს დამალული ფართალი და მარილი უნდა გაეცვალათ ქართველ გლეხებში პურზე. წართმეული საქონელი მთავრობამ ადგილობრივ კოოპერაციებს გადასცა და მანაც თავის წევრებზე გაჰყიდა.

ეს ერთი ხანია, რაც მაზრის ზოგიერთ სოფლებში „საქონლის ქურდი“ მძვინვარებს და საქონელს სძარცვავს დიდის მეურნეს ხელებს, მთავრობისაგან კი ყურადღება არ არის—რომ ბოროტმოქმედი გამოიძებნოს. თვით ქალ. დუშეთში კი „მოქალაქის“ წყალობით ხოლერამ იჩინა თავი. ექიმ ბეროშვილის მიერ მიღებულია საჭირო ზომები.

როგორც ქ. დუშეთი, ისე სოფლები დიდ გაჭირვებას განიცდიან სხვა პირველ საჭიროების საგნების გარდა, ნავთის და მარილის უქონლობით.

მთის მოძღვარი.

ს. ქარელი.

ამ სოფელში ყველა კულტურულ დაწესებულებებს წინ გაასწრო თავის განვითარებაში სამეურნეო სასწავლებელმა: ეს მეხუთე წელიწადი არის, რაც ეს სასწავლებელი არსებობს და წელს მკათათვის 21-ს უკვე მესამედ მოხდა სწავლა-დასრულებულთა გამოცდა. გამომცდელებად ქალაქ თბილისიდან იყვნენ დანიშნულნი მოქალაქენი [illegible], გამგე „კულტურნი“ კომიტეტისა და წევრი ამავე კომიტეტისა [illegible]. გამომცდელ კომისიის წევრნი სრული კმაყოფილნი დარჩნენ მოწაფეების ცოდნით და ყველას აღუთქვეს სწავლის დამთავრების მოწმობის მიცემა.

დამსწრე ა. ოქ—ძე.

სოფ. თიანეთი
(პასუხათ ერწოელს)

გაზეთ „ერთობის“ № 149-ში მოთავსებული თიანეთის ამბები ქეშმარიტებასთან ძალიან შორს არის დაშორებული. წერილის ავტორი უყვებს ნამდვილ ფაქტს, მოიხსენიებ ამბების მიზეზებს და თავის გასამართლებლად რაღაცა ქორებს სთხზავს. წყალ წაღებული ხავს ეჭიდებოდა, ასეა ამათი საქმეც. ნამდვილი მიზეზები მაშ ხდარ ამბებისა აწერილია გაზეთ „საქართველოში“ № 4, სადაც მოხსენებული იყო, რომ ეს ამბები გამოიწვია კომისარის ტაქტიკამ და უსამართლო საქციელმა და არა ერწოელის მიერ შეთხზულმა ქორებმა, ამას გამოძიება დაამტკიცებს.

რატომ წერილის ავტორს ერწოელს ავიწყდება და არ იგონებს თავის ამხანაგების ბიოგრაფიასაც, როგორც გმირების ამ ამბებისას! თუ დაავიწყდა მაშ მოვაგონებთ:

1) ადგილობ. კომისარიატის მდივანი ი. ბოძაშვილი, რომელმაც თითქმის ნიკოლოზის მამის დროს დაიწყო პოლიციაში სამსახური და საკმაოდ ისახელა სპოლიციო ხრიკებით.

2) ყოფილი ნამამასახლისარის ალ. შუშანაშვილი და აწ მაზრის კომისარის თანაშემწე, წევრი სადღეიდ-მამულო კომიტეტისა და მმართველი ერწო-თიანეთის რაიონისა, რომელმაც ქართული წერაც კი ძლივს იცის და ლაპარაკითაც ხომ ვერაფერს გადმოგვცემს—ენა ებმის.

3. ყველამ კარგათ იცის თუ რა როლს თამაშობდნენ ძველი მთავრობის დროს ეგრეთ წოდებული „იმგზნიკები“ და რა ულმობლად ტყავს აძრობდნენ იმ ხალხს, რომელზედაც ასე ძალიან გოდებს და სწუხს ბ-ნ ერწოელი თავის წერილში, ეს გახლავთ სგ. წიკლაური, რომელიც ეხლაც თავლებამოსულის „იმეზჩიკად“, იმავლები სადღეიდ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარეა, მაზრის ადმინისტრაცილებელ კომიტეტის წევრად და სასურსათო კომიტეტშიაც ირიცხება და ყველა ამ ადგილებიდან, რასაკვირველია იღებს უზომო ჯამაგირს. ვინ ადიდებმა ამ ვგ-მთ ამ ადგილებს თუ არა ს. დ-ბი? აი ამ თვითი ადგილების შესანარჩუნებლად ამას ნარიდ ლაზბ-ყოროს ედვება ერწოელი, რომ როგორმე დაიბრუნონ დაკარგული ადგილები.

ერწოს ნახოსს, რომ ახსენა კოკაზაშვილის ყაჩაღთა ბრბო გაჩნდა და სოფლებში თავისუფლად დაიწყო თარეში და მაზრის კომისარს კი ძალა და უნარი არ შესწევდა მის საწინააღმდეგოთ, მაშინ ზოგიერთ გულოვანმა, ეგნ. ჯავახიშვილმა, ლექსო ბიჩინაშვილმა და სხ. განიზრახეს დაერაზმებინათ ამ ყაჩაღთა ბრბოს საწინააღმდეგო რაზმი, რისთვისაც ნებართვა სთხოვეს მაზრის კომისარს ლაცაბიძეს, რომელიც სიხარულით მიეგება ამ განზრახვას და ნება დართო, ეს რაზმი იყო, რომ ასე ჩქარა ჩაქრა ამ ყაჩაღების თარეში, თორემ შეიძლება იყო მთელი მხარე ცეცხლის ალში გახვეულიყო. აი ამ რაზმს და მის მეთაურებს, მადლობის მაგიერ, ერწოელი უწოდებს ყაჩაღთა ბრბოს, რითაც ჩირქს სცხებს ნათ პატიოსან შრომას.

იხ—არი.

რედაქტორი: [illegible]

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოდ, რომ სადგომი ნავსადგომისაგან გამოწვეულ პირობების გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირად:

თბილისიდან გავა:

			სათ.	წ.
ფოთისკენ	№ 23	დილის	7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისაკენ	№ 4/30	დღის	1	—

თბილისში მოვა:

ფოთიდან	№ 24	შუა დ.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 4c/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩაზე წითელ ხიდთან
გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებ.
მწოლიარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს.
15—1789—3

პარასკევს, 16 მარიამობისთვის, საღამოს 8 საათზე (ახალ დროით) სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, მოხდება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის წევრთა და თანამოაზრეთა
საზოგადო კრება
გრიგოლ ვეშაპელი წაიკითხავს მოხსენებას „თანამედროვე საქართველო“.

ქართულ-გერმანულ
კულტურულ საზოგადოების
საორგანიზაციო კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ და თანამგრძნობთ, რომ კომიტეტის მუშაობა საგრძნობით დამთავრდა და საზოგადო კრება შესდგება კვირას, 18 აგვისტოს, სწორედ დილის 11 საათზე, ფრეილინის ქ. № 11, ქართულ საბჭოს ყოფილი ბინა.
განსახილველია: 1. პრეზიდიუმის: თავმჯდომარის, მისი თანაშემწეთა, მდივნისა და ხაზინადრის არჩევნი; 2. სექციების: სალიტერატურო, სამეურნეო, სასკოლო წევრთა არჩევა; 3. სამოქმედო გეგმის უმთავრესი დებულებათა (სტატუტის). იქვე მიიღება წევრთა ჩაწერა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა
კანცელარია იმყოფება „საქართველოს“ რედაქციაში.
კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 11—2 საათამდის და 7—8 ს. საღ. (ახალ დროთი.

1918 წ. ივლისის 25-და ქ. თბილისში გამოდის მთავრობის მომხრე ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური განყოფილებით
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთის ფასი 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
რედაქციის კანტორის მისამართი ქ. თბილისი ბარონის ქუჩა № 6.
რედაქტორი პ. დ. ხაჭაპურიძე.

კვირას, 14 ივლისს 1918 წელს
გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო
„საქართველო“ ყოფილი „ამირანი“
პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში
შენობა ახლად მიკეთებულია ცალკე კაბინეტებით
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
სადილი შუადღის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.
ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.
სამზარეულო აზიური და ევროპიული, სასმელები კეთდება
საუკეთესო მასალიდან საუკეთესო მზარ. ხელმძღვანელობით

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III
რაიონის ბიურო
ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტერგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელი მოსამართლის დარბაზში.

თბილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო
ბანკის გამგეობა
ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი ქონებისა სესხის შეუტანლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოს. დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულია გაზ. „კავკაზის“ 6 ივლისის № 138-ში

გაიხსნა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალის კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციონი მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. ბავშვის ფილტვისა და სისხლის სპეციალისტი. მისამართი: ელისაბედის ქ. 7 სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ბ. გ. მაჭარაშვილის და ლ. ბ. ნანეიშვილისა
საავადმყოფოში იღებენ ქალებს სხვადასხვა შინაგან სნეულებით ქირურგიულ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („კოლონი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კოლონის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათ.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდე, ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ხარკ. ქალთა კურსების ექიმი
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს შინაგანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპურება) ავადმყოფთა იღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიკოს“ მოპირდაპირე ტელეფონი 14—28.

მედიცინის დოქტორი მიუნხენის
უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სანერვო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სემინარიის ბაღის გვერდზე.
2 თვ.—1658.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
ყოფილი ექიმი პროფ. [illegible] კლინიკისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიული სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7, ტელ. № 17—21.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებითა და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია და მასაჟი
მისამართი: მაჩაბლის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ი—1586—49